თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 31.05.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო მახათაძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282214757, 07.05.2022);

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 51.8 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 25138.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 106.1 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 157.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვით ნაწილი შემცირდა 106.1 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა. მათ შორის: სოფელ ღვანკითის ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 50.5 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია). ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 55.6 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 157.9 ათასი ლარი. მათ შორის სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 30.2 ათასი ლარით. სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 127.7 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი